

ქართველურ-აფხაზური ენობრივი შეხვედრები – ზედსართავი სახელი

ზოგადად, ზედსართავი სახელი ლექსიკის ძირეულ ფონდს განეკუთვნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველურსა და აფხაზურში იძებნება სიტყვები, რომლებიც ურთიერთნასესხობის გზითაა გაჩენილი.

ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებული ზედსართავი სახელები: ქართული **ამო** „სამო, სასიამოვნო, საამური“ (ქეგლ I: 315) ძველ ქართულში დასტურდება **ჰამო** (აბულაძე 1973: 576) ფორმით. იგივე სიტყვა გვაქვს მეგრულშიც: **ჰამო** „ტკბილი, სასიამოვნო“ (ყიფშიძე 1914: 417). აფხაზურში პოვნიერ **ა-ხაა** „ტკბილი“ (უსლარი 1887: 41) პ. ჭარაია თვლის ქართველურიდან შეთვისებულად (ჭარაია 1912: 41).

საერთო ძირი დასტურდება ქართულ **ბაქია** „მკვებარა, ტრაბახა“ (ქეგლ I: 996), სვანურ **ბაქ** / **ბაქ** „სიცრუე, ტყუილი“ (თოფურია 2000: 147) და აფხაზურ **ა-ბაქჯე** „ტრაბახა“ (კასლანძია 2005: 219) ფორმებში. აფხაზური სიტყვა კომპოზიტია და შედგება **ა-ბაქ** და **-ჯე** ელემენტებისაგან. ეს უკანასკნელი **ა-ჟა-ჯე** „ადამიანის“ აღმნიშვნელია და ხშირად გვხვდება აფხაზურ კომპოზიტებში: **ა-შანჯუა** „სვანი“, **ა-ქერთუა** „ქართველი“, **ა-ქადაქჯე** „ორატორი, ქადაგი“, **ა-რაწჯე** „მასწავლებელი“... შდრ. ადილ. **ბაჭ** „ბაქია, ტრაბახა“ (ადრლ 1975: 25); შესაძლოა, იგივე **ბაქ** ძირი იყოს (ბუკია 2016: 131).

დამპალი „ღვთობით წამხდარი, გახრწნილი“ (ქეგლ III: 539) – **ა-ბაა** „დამპალი“ (ჯანაშია 1954: 61). პ. ჭარაია ერთმანეთს უდარებს ქართულ ლპ (< პლ) და აფხაზურ ბა = ბ-ა და მიიჩნევს საერთო წარმომავლობის სიტყვებად (ჭარაია 1912: 20).

დიდი „1. ჩვეულებრივზე მეტი სიდიდით, ზომით; 2. რაოდენობით მეტი, – ბევრი, დიდძალი, მრავალრიცხოვანი; 3. მოზრდილი, უფროსი“ (ქეგლ III: 1166), **დიდი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 226), **დიდი** (ლაზ.) „id.“ (მარი 1910: 139) – **ა-დღუ** „დიდი“ (გენკო 1998: 86). ქართველურ და აფხაზურ ფორმებს აკავშირებს პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 22-23).

თაკარა „1. მხურვალე, მცხუნვარე, მწველი, ვარვარა; 2. დიდი სიცხე“ (ქეგლ IV: 293) **თაკარი** (მეგრ.) „თაკარა; ალი; მცხუნვარე, მწველი“ (ქაჯაია 2002: 34) – **ა-თაკარ** „სიცხე, პაპანაქება“ (კასლანძია 2005-ა: 193). ვფიქრობთ, სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული.

კაბეტი (მეგრ.) „დიდი“ (ყიფშიძე 1914: 249) – **კაბეტის წყალი** მდ. ბზიფის სახელი. მდინარის დასახელება თვალნათლივ გვიჩვენებს მის მიდამოებში მოსახლე ხალხის ეთნიკურ კუთვნილებას (გვანცელაძე 2011: 192).

ლოგო / ლუგა (მეგრ.) „სულელი, ჩლუნგი“ (ყიფშიძე 1914: 274), **ლეგ** (სვან.) „ცუდი“ – **ა-ლუგა** (აბჟ.) / **ა-ლეგ** „სულელი, ბოთე, უგერგილო ადამიანი“ (ჯანაშია 1954: 177, 179), **ლაგა** (აბაზ.) „სულელი“ (აბრლ 1967: 263). სიტყვა მეგრულიდანაა შესული აფხაზურსა და აბაზურში. საკუთრივ მეგრული სიტყვა კი ქართული **ბლაგვ**-ის ეკვივალენტია (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 113). შდრ. **ლგ** (ადილ.) „მამაკაცი, ქმარი“; ადილეურ და აფხაზურ-აბაზურ სიტყვებს საერთო წარმომავლობისას მიიჩნევენ კ. შაყრილი (შაყრილი 1968: 77), ა. შაგიროვი 1977: 257). თუ ეს თვალსაზრისი მისაღებია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადილეურშიც ქართველურიდანაა შესული.

მკვახე „1. შემოუსვლელი, უმწიფარი, საჭმელად უვარგისი ხილი და მისთ. 2. გადატ. უკმეხი, უხეში“ (ქეგლ V: 531), **კუხე / კუხი** „უნდილი, უმწიფარი, მოუსვლელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 638), **კოხა** (მეგრ.) „კვანარახი, ტყემლის სიმჟავე“ (ყიფშიძე 1914: 262), **კოხა** (ლაზ.) „მკვახე ყურძენი“ (მარი 1910: 158), **კუხუ / კუხიხუ** (სვან.) „მკვახე“ (თოფურია 2000: 351) – **ა-კვხ** „მკვახე ყურძენი, ისრიმი“ (შაყრილი 1986: 347); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ბ. ჯანაშიას **ა-კვხ** სიტყვის განხილვისას მოჰყავს შესაბამისი ქართული ფორმები **კუხი / მკუხე**, მაგრამ არ მიუთითებს სესხების მიმართულებას (ჯანაშია 2010: 35). სიტყვა აფხაზურში ქართველურიდანაა შესული (გვანცელაძე 1997: 204)

მკოდოვი (მვ. ქართ.) „ღარიბი, ღატაკი“ (აბულაძე 1973: 256), **მკოდოვანი** „ფრიად გლახაკი“ (საბა 1991: 490) – **ა-კადა** „სუსტი“ (ჯანაშია 1954: 151). ქართული **მკოდოვი** სიტყვის ამოსავალი უნდა იყოს ქართ. **კვდომა**, რომელიც აფხაზურში სესხებისას კანონზომიერად მოგვეცემდა

კვად(ა) ფორმას. შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ (ლომთათიძე 1998: 7). შდრ. კადა (აბაზ.) „სუსტი“ (აბრლ 1967: 259).

მძალე „1. წამხდარი, მომწკლარტო, მომწარო გემოსი. 2. კუთხ. (იმერ., გურ.) მძალე ნივთისგან საგანგებოდ დამზადებული სანელებელი“ (ქეგლ V: 1210), **ძალე** (მეგრ.) „მძალე“ (ქაჯაია 2002-ა: 375) – **ა-ძალა** „მძალე“ (ჯანაშია 1954: 373); აფხაზურში შესულია ქართულიდან (მაჭავარიანი 1966: 168).

ნაჯა (მეგრ.) „ნაბოლარა“ (ქობალია 2010: 521) „პატარა, ჯმუხი“ – **ა-ნაჯა** „განუვითარებელი; პატარა“ (კასლანძია 2005-ა: 20). ვვარაუდობთ, რომ სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული.

სუსტი „ძალას, ღონეს მოკლებული, – უღონო“ (ქეგლ VI: 1196), **სუსტი** „(სპ.) დუნი, უძალო, უღონო, უსუსური“ (ჩუბინაშვილი 1887: 1202), **სუსთი** (მეგრ.) „სუსტი“ (ჭარაია 1997: 126), **სუსტ** / **სუსტ** / **სუსტ** (სვან.) „სუსტი“ (თოფურია 2000: 712) – **ა-სუსტ** / **ა-სუსთ** (აბჟ.), **ა-ზააიჭ** (ზზ.) „id“ (ბლაჟბა 1964: 220); აბჟურის ფორმა ქართველურიდანაა ნასესხები, ბზიფური – თურქულიდან (იქვე).

ტარიელი (მეგრ.) „ძლიერი, გმირი“ (ყიფშიძე 1914: 327) – **ა-ტარიელ** „წარმოსადეგი, ძლიერი“ (შაყრილი 1987: 133). „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის სახელი მეგრულმა განაზოგადა და „ძლიერის, გმირის, ვაჟკაცის“ სემანტიკა მიანიჭა, იმავე სემანტიკით ისესხა აფხაზურმა. შდრ. **ღლაგ-ი**, რომელსაც მეგრულში გადატანითი მნიშვნელობაც აქვს: **ღლამცალ კოჩი** „ძლიერი, ჯანიანი კაცია“. სიტყვა იმავე მნიშვნელობით გადავიდა აფხაზურშიც: **ა-ღლამ** „უდიდესი ძალის მქონე ზღაპრული არსება“ (ბუკია 2013: 248).

ყოჩალი „გულადი, გამბედავი, მამაცი“ (ქეგლ VII: 575) – **ყოჩახ** „ყოჩალ“ (კილბა 1983: 84); შდრ. აფხ. **ა-ჭერხაწა** (იქვე). აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებამი გავრცელებული **ყოჩახ** ქართულიდანაა შეთვისებული.

ცუდი „1. უარყოფითი თვისების მქონე, – უვარგისი, უხეირო, მდარე. 2. არაწესიერი, ზნეობრივად უარყოფითი. 3. ძვ. ამაო, ფუჭი“ (ქეგლ VIII: 665) – **ა-ცივა** „ცუდი“ (ჭარაია 1912: 47); **ა-ც'ვა** „id“ (ჯანაშია 1954: 365). აფხაზური ფორმა ქართულიდან მომდინარე ჩანს (ლომთათიძე 1999: 123).

წკონდა (მეგრ.) „წმინდა, ანკარა (წყალი)“ (ჭარაია 1997: 167), **წკონდ-** (ლაზ.) „დაწმინდა“, დოპწკონდი „დავხვეწე, დავწმინდე“ (გრამატიკა 2015:

875) – **ა-წკანდა** „წმინდა, გამჭვირვალე (წყალი)“ (შაყრილი 1987: 383). აფხაზურში სიტყვა მეგრულიდანაა შეთვისებული.

წმახე „იგივეა, რაც მომჟავებული“ (ქეგლ VIII: 1156), **წმახე** „არს, რომელი პირველ მჟავე არა იყო და მომჟავდეს მცირედრე“ (საბა 1991: 517), **ჭმახე** „მომძარებული“ (იქვე: 405), **ჭვახე** (მეგრ.) „მჟავე“ (ციფშიძე 1914: 388) – **ა-ჭანა** „მჟავე“ (შაყრილი 1987: 328), **ა-ლჭანა** „მჟავე, დამძარებული ღვინო“ (ჯანაშია 1955: 8). აფხაზურ კომპოზიტს ჰიბრიდულად მიიჩნევს ბ. ჯანაშია, (**ა)ჭანა** მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (იქვე).

ჭიჭე (მეგრ.) „პატარა“ (ციფშიძე 1914: 390) – **ა-ძეჭჭა** „პატარა, თხელი წყალი“ (ჯანაშია 1954: 378); **ა-ჭაჭჭა** „გარეული მსხალი, პატარა მსხალი“ (ჯანაშია 1954: 454); მეგრული სიტყვა დაცულია კომპოზიტში: – **ა-ძეჭჭა** ფორმაში პირველი ნაწილი წყლის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ძე-ა**, მეორე კი მეგრულიდანაა შეთვისებული, კომპოზიტი კი ეტიმოლოგიურად „პატარა წყალს“ ნიშნავს; ასევე **ა-ჭაჭჭა**-ში პირველი სიტყვა აფხაზური **ა-ჭა** „მსხალი“, სიტყვა კი „პატარა მსხალს“ ნიშნავს.

ჭყინტი „1. ნედლი, უნდლი, თოთო ნაყოფი; 2. ახლადამოყვანილი, ჯერ გაუფუებული ყველი“ (ქეგლ VIII: 1304), **ჭყინტი** (მეგრ.) „ჭყინტი, ჭყიტი“ (ქაჯაია 2002-ა: 173), **ჭყინტი** (ლაზ.) „ჭყინტი“ (ქუთელია 1982: 99), **ჭყანტ / ჭყინტ / ჭყანტ** (სვან.) „ჭყინტი“ (თოფურია 2000: 864) **ჭყინტ „ბიჭი“** (იქვე: 865) – **ა-წყენტ** (აბჟ.) „უმწიფარი, ახალგაზრდა“ (შაყრილი 1987: 384). აფხაზური სიტყვის სემანტიკა დავიწროებულია და სვანურის მნიშვნელობას („ბიჭი“) უთანაბრდება.

ჯმუხი „1. დაბალ-დაბალი და ჩასხმული, ჩასკვნილი ადამიანი“ (ქეგლ VIII: 1602), **ჯმუხი** „მოდაბლო და მკვრივად ჩასმული“ (ჩუბინაშვილი 1887: 1773) – **ა-ჯგხ** „ჯმუხი“ (ჯანაშია 1954: 452).

აფხაზურიდან ქართველურში შეთვისებული ზედსართავი სახელები:

ქართველურსა და აფხაზურში პოვნიერ ზედსართავ სახელთა შორის გვხვდება მეგრული **არგამა** „აშკარა“ (ქაჯაია 2001: 189) და აფხაზური **არგამა** „ღიად, ნათლად“ (ჯანაშია 1960: 94), აფხაზური **არგამ** „აშკარა, ღია, დაუფარავი“ (აბრლ 1967: 82). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აფხაზურ-აფხაზური ფორმები ოსურიდანაა შეთვისებული (შაგიროვი 1989: 162).

შდრ. ოსური **პრგომ / პრგონ** „სახე, წინა ნაწილი; ნათელი, ღია, აშკარა“. ვვარაუდობთ, რომ მეგრულში **არგამა** აფხაზურიდანაა შემოსული.

მაჩხომა (მეგრ.) „საკმარისი“ (ქაჯაია 2002: 232) / **მაჩხუმა – მაჩხ^ბგმა** „ბლომად, ბლომადა“ (ჯანაშია 1954: 187). **მაჩხ^ბტმა** (შაყრილი 1986: 436); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13).

სამეცნიერო ლიტერატურაში გაანალიზებულია რამდენიმე ზედსართავი სახელი რომელიც საერთო ქართველურ-აფხაზურ-ჩერქეზული წარმომავლობისა უნდა იყოს:

მწარე „სპეციფიკური არასასიამოვნო პირის დამწველი გემო“ (ქეგლ V: 1217), **მწარე / ნწარე / წარე** (მეგრ.) „მწარე“ (ქაჯაია 2002: 344, 409) – **ა-წა** „მლაშე“ (ჯანაშია 1954: 377); ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 45). საერთო ქართველურ-აფხაზურ ფორმად მიიჩნევს ს. ჯანაშია (ჯანაშია 1959: 15).

მწვანე „1. ნედლი ბალახის, ფოთლის და მისთ. ფერი; 2. ფოთლებით შემოსილი მცენარეულობა; 3. ბალახი, მინდორი“ (ქეგლ V: 1220), **მწვანე** „ბალახის ფერი; თვით ბალახი, მდელო, მხალი“ (ჩუბინაშვილი 1887: 929), **რწვანე** (მეგრ.) „მწვანე“ (ქაჯაია 2002: 560) – **ა-ეწა / აიაწა** „მწვანე“ (ჯანაშია 1954: 15). პ. ჭარაია ქართულ სიტყვაში გამოყოფს მ-წვა-ნე ელემენტს, უდარებს აფხაზურ ფორმას და მიიჩნევს საერთო წარმომავლობის სიტყვებად (ჭარაია 1912: 23).

ყვითელი „1. ერთ-ერთი შვიდ ფერთაგან; ოქროსა და ქარვის ფერი“ (ქეგლ VII: 536), **ყვჷლი / ყვიჷლი** „ლურჯ-ისფერის საშუალი“ (საბა 1993: 275), **ყვინთელი** (მეგრ.) „ყვითელი“ (ყიფშიძე 1914: 354), **ყვიჷალი** (მეგრ.) „მოლურჯო“ (ჭარაია 1997: 148), **ყჷთიჷე** (სვან.) „ღვიძლი“ (თოფურია 2000: 808) – **ა-ღჷე** (ვეჷ) „ყვითელი“ (ჯანაშია 1954: 464). არნ. ჩიქობავა სვანურ **ყჷთიჷე** და ქართულ **ღვიძლ**-ს უკავშირებს ქართულ **ყვიც**-ა, **ყვით**-ა, **ყვიც**-იან-ი, **ყვით**-ელ- ფორმებს (ჩიქობავა 1938: 67). იმავეს მიუთითებს ქ. ლომთათიძე და სემანტიკის გადასვლისათვის მიმართავს ერთი მხრივ ადიღეური **ღჷჷ** „ყვითელი“, მეორე მხრივ სვანური **ყჷთიჷე** „ღვიძლი“ (ლომთათიძე 1955: 824).

ორივე ენაში ნასესხები ზედსართავი სახელები:

ზედსართავთა ნაწილი ქართველურსა და აფხაზურში ნასესხებია. აქ სესხების მიმართულებაზე და შუალედურ რგოლზე ლაპარაკი ძნელია, შესაძლოა, ორივე ენას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ესესხებინა. ეს ზედსართავებია:

ალალი „1. მართალი, პატიოსანი, უცოდველი. 2. ღვიძლი, მკვიდრი, საკუთარი“ (ქეგლ I: 264). არაბული წარმოშობის სიტყვა ჯერ კიდევ ძველ ქართულში გვხვდება: **ჰალალი** განუმარტავია (აბულაძე 1973: 575), **ალალი** „არაბ. ზედ. სამართლიანი, რჯულიერი“ (ჩუბინაშვილი 1887: 18); სალიტერატურო ქართულიდან შესულა მეგრულ-ლაზურსა და სვანურში: **ალალი** / **ჰალალი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 193, 417), **ალალი** / **ჰალალი** / **ჰელალი** (ლაზ.) „id.“ (ქუთელია 1982: 103); **ალალ** / **ჰალალ** (სვან.) „ალალი“ (თოფურია 2000: 40). იგივე სიტყვა გვაქვს აფხაზურ-აბაზურში: აფხ. **ა-ჰალალ** „ალალი, ხელგამლილი“ (უსლარი 1887: 138), აბაზ. **ჰალალ** „ალალი“ (აბრლ 1967: 410). ამოსავალია არაბ.-სპ. **ჰალალ** (შაგიროვი 1977-ა: 118). არაბული **ჰალალ** „ნებადართული“, „წმინდა“, „შეუბღალავი“ გვხვდება ოსურ-შიც: **ხალარ** „სიკეთე“, „მეგობარი“ (აბაევი 1989: 166). არ არის გამორიცხული, რომ სიტყვა ქართულისგან დამოუკიდებლად იყოს შესული აფხაზურში თურქულიდან (გვანცელაძე 2011: 70)

არამი [არაბ. **ჰარამ** „აკრძალული“] „1. რაც არ ეკუთვნის, რაც არ ერგება. 2. ადამიანი, ვისთვისაც რამე არმად მიაჩნიათ“ (ქეგლ I: 541), **არამი** „(არაბ.) არა რჯულიერი, აკრძალული, დაშლილი, შეუნდობელი; მავნებელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 43), **ჰარამი** (მეგრ.) „1. არამი, არაწესიერი. 2. შურიანი, გაუმადლარი“ (ქაჯაია 2002-ა: 631), **ხარამი** (ლაზ.) „არამი“ (ჟღენტე 1938: 215) - **ა-ჰარამ** „ბოროტი, არაკეთილმოსურნე“ (შაყრილი 1987: 289). **ჰარამ** (აბაზ.) „ძუნწი“ (აბრლ 1967: 411), **ჰარამ** (უბიხ.) „აკრძალვა“, **ხარამ** / **ხარამ** (ადიდ.) „აკრძალული“ (შაგიროვი 1977-ა: 121). სავარაუდოდ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის შესული ქართველურსა და აფხაზურ-ჩერქეზულში. ამ უკანასკნელში – თურქულის მეშვეობით. არაბული სიტყვა შესულია სხვა კავკასიურ ენებშიც: ჩეჩნ., ინგ. **ხარა** „უწმინ-დური“, „ცოდვილი“. **ხარამ** / **ხარან** სახით გვხვდება ოსურშიც (აბაევი 1989: 175).

აჯამი [არაბ. **აჯამ** „არაარაბი, ირანელი“] „უჭკუო, რეგენი, ბრიყვი“ (ქეგლ I: 933), **აჯამი** (მეგრ.) „წარმართი“ (ყიფშიძე 1914: 198), „გაუგებარი, უგუნური, ჯიუტი“ (ქაჯაია 2001: 208), **აჯამი** (ლაზ.) „უცხო, უცნობი“ (მარი 1910: 128),– **ა-ჯამ** „სპარსი, ირანელი“ (ჯანაშია 1954: 446); არაბულ-სპარსული **agām** ფორმის მნიშვნელობაა ბარბაროსები, არა არაბები (ბართაია 2010: 146). გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფხაზურში თურქული ენის შუამავლობითაა შესული (გვანცელაძე 2011: 61). შესაძლებელია, სესხების შუალედური რგოლი ქართველურცი ყოფილიყო, ამ თვალსაზრისისთვის არანაირი ფონეტიკური და სემანტიკური დაბრკოლება არ არსებობს.

თამამი [არაბ. **თამამ** „დასრულებული“] „ლადი; გამბედავი ადამიანი. 2. ასეთი ადამიანის შესაფერი, – გაბედული, კადნიერი, მოურიდებელი (საქციელი). 3. კარგად განვითარებული“ (ქეგლ IV: 298), **თამამი** (მეგრ.) „თამამი, ამაყი“ (ყიფშიძე 1914: 239), **თამამ** (სვან.) „თამამი“ (საღლიანი 2005: 17) – **ა-თამამ** „თამამი“ (კასლანძია 2005-ა: 197). < სპ.-არ. **tamām**. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „თანხმობის“ მნიშვნელობით თურქულშიც გვხვდება, სემანტიკის მიხედვით ვვარაუდობთ, რომ აფხაზურში ქართულის მეშვეობითაა შესული.

დინჯი „დარბაისელი, დაფიქრებული, მშვიდი, წყნარი“ (ქეგლ III: 1188), **დინჯი** „მშვიდი, წყნარი“ (ჩუბინაშვილი 1887: 479) – **ა-თენჯ** „დინჯი, წყნარი“ (რალ 1964: 300). სიტყვა გავრცელებულია სხვა აფხაზურ-ადილურ ენებში: ადიღ. **თენჯ** / **თენშ** „მოხერხებული, მშვიდი“, ყაბარდ. **თენჯ** „ადვილი“, აბაზ. **თენჯ** „მშვიდი, წყნარი“ (შაგიროვი 1989: 122), სავარაუდოდ, აფხაზურ-ადილურ ენებში უშუალოდ თურქულიდან იყოს შეთვისებული: **tinç** „მშვიდი, წყნარი“ (მაგაზანიკი 1945: 622). ქართულში იგივე სიტყვა ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი ფორმით გვხვდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაევი 1989** – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 4. Ленинград
- აბრლ 1967** – Абазинско-русский словарь. Москва
- აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი
- ადრლ 1975** – Адыгейско-русский словарь, Майкоп
- ბართაია 2010** – ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა, თბილისი
- ბუკია 2013** – მ. ბუკია, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, თბილისი
- ბუკია 2016** – ჩერქეზულ-ქართველური ენობრივი შეხვედრები, თბილისი
- ბლაჟბა 1964** – Х. С. Бгажба, Бзынский диалект абхазского языка, Тбилиси
- გენკო 1998** – Генко Н. А. Абхазско-русский словарь, Сухуми
- გვანცელაძე 1997** – თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულებანი, კრებული „გიორგი როგავას“, თბილისი
- გვანცელაძე 2011** – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბილისი
- გრამატიკა 2015** – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, მორფოლოგია, თბილისი
- გულია 2004** – დ. გულია, ქართულ-მეგრულ-აფხაზური ლექსიკონი, „მახარია“, № 1, თბილისი
- თოფურია 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი
- კასლანძია 2005** – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. I, Сухуми
- კასლანძია 2005-ა** – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. II, Сухуми
- კილბა 1983** – Э. Килба, Особенности речи батумских абхазов, Тбилиси
- ლომთათიძე 1955** – ქ. ლომთათიძე, ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში

(ქართულ-აფხაზურ-ადიღურ მასალაზე), საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVI, 10, თბილისი

ლომთათიძე 1998 – ქ. ლომთათიძე, აფხ. აკადა („სუსტი“) და ძვ. ქართ.

მკოდოვი („ლარიბი“), საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. 7, თბილისი

ლომთათიძე 1999 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის

მიმართულებისათვის, ჩიქობავას საკითხავები – X, თბილისი

მაგაზანიკი 1945 – Д. А. Магазаник. Турецко-русский словарь. Москва

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика Чанского (Лазского) языка с

хрестоматией и словаремъ, Типография императорской академіи наукъ, С.-Петербургъ, 1910

მაჭავარიანი 1966 – გ. მაჭავარიანი, სუბსტრატის საკითხისათვის

დასავლურ-ქართველურ (ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში, იკე, XV, თბილისი

ჟღენტი 1938 – ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი

რალ 1964 – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი

საბა 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი

საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში,

დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებად, თბილისი

უსლარი 1887 – П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი

ქაჯაია 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964

ქობალა 2010 – ა. ქობალა, მეგრული ლექსიკონი, თბილისი

ქუთელა 1982 – ნ. ქუთელა, ლაზური პარამითეფე, თბილისი

ყიფშიძე 1914 – ი. ა. კიპშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ

შაგიროვი 1977 – ა. კ. შაგიროვ. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. I. Москва

შაგიროვი 1977-ა – ა. კ. შაგიროვ. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. II. Москва

შაგიროვი 1989 – ა. კ. შაგიროვ, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва

შაყრილი 1968 – კ. ს. შაკრულ, Некоторые лексические и звуковые соответствия в абхазско-адыгских языках, Сухуми

შაყრილი 1986 – კ. ს. შაკრულ, В. Х. Конджария, Словарь абхазского языка, т. I, Сухуми

შაყრილი 1987 – კ. ს. შაკრულ, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, Словарь абхазского языка, т. II, Сухуми

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი

ჩუბინაშვილი 1887 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს.-პბ. დ. Чубинашвили, Грузино-русский словарь, С.-Пб

ჭარაია 1912 – პ. ჭარაია, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб

ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯანაშია 1955 – ბ. პ. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия, автореферат диссертационной работы, представленной на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси

ჯანაშია 1959 – ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმში, შრომები, ტ. 3, თბილისი

ჯანაშია 1960 – ნ. ს. Джанашия, Религиозные верования абхазов. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми

ჯანაშია 2010 – Н. С. Джанашия, Религиозные верования абхазов. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 45, თბილისი, 2017, გვ. 15-22
Ibero-Caucasian Linguistics, V. 45, Tbilisi, 2017, p. 15-22